

პანდემია და დისტანციური სწავლება - პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხედულებების შედარებითი ანალიზი

მაია გიოხჯობიანი

ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი

მზია ტიკიშვილი,

ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, მოწვეული პროფესორი

დეა ფიხცხადაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, პროფესორის ასისტენტი

Covid-19-მა ახალი გამოწვევები წაჩმოშვა გლობალური მასშტაბით. მთელმა ხიგმა შეზღუდვებმა სტუდენტებსა და პროფესორ მასწავლებლებს დისტანციური ხეჭიმში გადასვლა და ახალ წესებზე მოხგება აიძულა. შიავადი კვლევითი ცენტრის მიეჩ ჩატახებუდ გამოკითხვებში საკმაოდ დადებითი განწყობა შეინიშნებოდა დისტანციური სწავლის მიმახთ, თუმცა იძულებითმა სოციალუხმა დისტანციამ, კოვიდ პანდემიის პიხოებში დიდი გავდენა იქონია გამოკითხუდთა პასუხებზე.

წინამდებახე ნაშხომის მიზანია პანდემიის პეხოლში დისტანციური სწავლების შესახებ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხედულებების შედახებითი ანალიზი.

კვლევაში მონაწიდეობა მიიღეს საქახთვედოს ახაეხთი უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა სხვადასხვა ჰეგიონებიდან. კვლევის შედეგები დამუშავებუდ იქნა სტატისტიკური პროგხამუდი პაკეტის (SPSS) გამოყენებით. კვლევის საფუძველზე აქცენტი გაკეთდა შემდეგ საკითხებზე:

- დისტანციური სწავლისადმი სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა დამოკიდებუდების შედახებითი ანალიზი;
- დისტანციური სწავლის უპიხატესობის და ნაკდვანების გამოვდენა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მხიდან;
- სწავლის სასუხვედი ხეჭიმის (დისტანციური, პიხდაპიხი, შეეეუდი) დადგენა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებლების მიეჩ. (შედახებითი ანალიზი ჰეგიონუდ ქიილში);
- ყვედაზე ხშიხად გამოყენებადი ციფხური საკომუნიკაციო სეევისების გამოვდენა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მხიდან;
- ზემოაღნიშნუდი საკითხების გაანალიზების შემდეგ სტატიაში მოცემულია დასკვნები და ჰეკომენდაციები, ხომდებიც ხედს შეუწყობს ჩვენს მიეჩ გამოვდენიდ გამოწვევათა აღმოფხვხას.

საკვანძო სიტყვები: Covid-19, ინფოხმაციური ტექნოლოგიები, სტატისტიკური ანალიზი, დისტანციური სწავლა, მენეჯმენტი

პანდემიამ გლობალური მასშტაბით რადიკალურად შეცვალა ჩვეული ცხოვრება და ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა. სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასვლამ მოითხოვა საგანმანათლებლო რესურსების სწორი მენეჯმენტი, საჭირო გახდა ოპტიმალური სასწავლო სერვისების მოძიება, რამაც ინფორმაციული ტექნოლოგიების მთელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და არნახული პროგრესი გამოინვია. მაშინ როცა ინფორმაციული ტექნოლოგიების ევოლუციის ყოველი ეტაპი გარკვეულ ხანას მოიცავდა, ხშირად რამდენიმე ათეულ წელსაც კი, ახალი ეპიდემიის დროს ეს პერიოდი რამდენიმე კვირამდე შემცირდა და გავხდით ახალი ინფორმაციული რევოლუციის მონმე. პანდემიის გამო შეზღუდვებმა და სწავლების დისტანციურ რეჟიმში გაგრძელების აუცილებლობამ, განათლების სფერო სწავლების სისტემის არჩევანის გარეშე დატოვა. სწავლის/სწავლების

სრულყოფილად წარმართვა დამოკიდებული გახდა ელექტრონული პორტალის სწორად შერჩევასა და გამოყენებაზე. პანდემიის პირობებში სასწავლო პროცესის უკეთესი მენეჯმენტის მიზნით სასწავლო პორტალს წაეყენა ისეთი ძირითადი მოთხოვნები, როგორცაა:

- მაქსიმალური ხელმისაწვდომობა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მხრიდან;
- სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობის შესაძლებლობა; როგორც სამაგიდო კომპიუტერების, ასევე მობილური ტელეფონების სისტემური უზრუნველყოფის მხარდაჭერა;
- ერთმანეთთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების და რესურსების შენახვის უზრუნველყოფა ცენტრალიზებულად, სადაც მომხმარებლებს სასურველ მასალებზე წვდომა შეეძლება;
- ისეთი საკომუნიკაციო საშუალებებით მხარდაჭერა, რომელიც ელექტრონული სწავლების პორტალს გახდის მოქნილს და შეძლებს კომფორტული გარემოს შექმნას პროფესორებისა და სტუდენტებისთვის.

ელექტრონული სასწავლო პორტალები პანდემიამდეც არსებობდა, თუმცა მათი გამოყენება მასობრივი მასშტაბით არც ისე ინტენსიურად ხდებოდა, როგორც ახლა. ელექტრონული სწავლების მიზნით მსოფლიოში პირველ სასწავლო პლატფორმას წარმოადგენდა ჯავაზე აგებული WebCT -ონლაინ ვირტუალური სასწავლო გარემო, რომელიც ლიცენზირებული იყო ძირითადად საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. აღნიშნული პლატფორმით სარგებლობდა 80 სხვადასხვა ქვეყანა, მასში ჩართული იყო 10 მილიონზე მეტი სტუდენტი. პლატფორმის ნაკლოვან მხარეს წარმოადგენდა მისი მაღალი ღირებულება, ამასთან ის არ ფუნქციონირებდა როგორც ღია სისტემა და გამყიდველის ნებართვის გარეშე მისი მოდიფიცირება და სრულყოფა ვერ ხერხდებოდა (RAJESH, 2015).

ელექტრონული სასწავლო პორტალებიდან დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს Moodle, რომელიც ცნობილია, როგორც სასწავლო მენეჯმენტის სისტემა (LMS) ან ვირტუალური სასწავლო გარემო (VLE). Moodle არის უფასო სერვისი, მოდიფიკაციის შესაძლებლობით, რომელიც არ იზღუდება მასში ჩართულ მომხმარებელთა რაოდენობით. ამდენად, ის წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტურ და მოსახერხებელ ინსტრუმენტს “შერეული სწავლისთვის”.

უფასო ონლაინ პლატფორმებიდან ცნობილია აგრეთვე Ning პლატფორმა, რომელიც შექმნილია არა მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცისთვის, არამედ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ფიზიკური პირისა თუ ორგანიზაციისთვის. ეს პორტალი საშუალებას იძლევა მომხმარებელმა შექმნას საკუთარი სოციალური ქსელი.

რაც შეეხება „ვიკი“-ის(wiki), იგი ასევე წარმოადგენს უფასო ონლაინ სწავლის პლატფორმას, რომელიც საკმაოდ პოპულარულია სტუდენტებში.

ვირტუალური სასწავლო პლატფორმა - Wiz IQ, პედაგოგის ყურადღებას იქცევს მისთვის დამახასიათებელი მრავალი აქტივობის გამო, კერძოდ, ვიქტორინების და გამოკითხვის ჩატარების შესაძლებლობით. ეს პლატფორმა არ საჭიროებს ინსტალაციას და მუშაობს ნებისმიერი ოპერაციული სისტემის გარემოში, თუმცა მის ნაკლოვანებას წარმოადგენს ფასიანი მომსახურების სისტემა.

მნიშვნელოვნად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა Web 2.0 ტექნოლოგია, რომელიც დისტანციური განათლებისთვის უზრუნველყოფს სასაუბრო ურთიერთობის, სოციალური ინტერაქციისა და უკუკავშირის მხარდაჭერას. Web 2.0-ის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აპლიკაციას წარმოადგენს სოციალური ქსელი - Facebook (Veletsianos, 2010).

ზემოთ განხილული სასწავლო პლატფორმების გარდა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე არსებობს სხვა უამრავი სასწავლო პლატფორმაც, თუმცა ისინი არ სარგებლობენ პოპულარობით მომხმარებელთა ფართო წრეებში, რადგან მათი გამოყენება შე-

საძლებელია მხოლოდ მობილური აპლიკაციის ან სამაგიდო კომპიუტერის საშუალებით, ასე მაგალითად, დღეისათვის ბაზარზე არსებული ხუთი საუკეთესო პორტალიდან (Penford, 2021) სახელდება: [Elucidat's Learning Launchpad Elearning Portal](#)-ციფრული სწავლის მისაღებად ეფექტური და ეკონომიური პორტალი, Sky's Global Totara -ეს სასწავლო პორტალი 36000 თანამშრომელს ეხმარება ტრენინგების გავლაში. უზრუნველყოფს სტრუქტურირებული სასწავლო გეგმების ავტომატურ გაშვებას ბიზნესის ცალკეული სამუშაოსთვის. მოიცავს საძიებო სისტემას, პირისპირ სესიის მუშაობას და ანგარიშების მიღებას; Sky Employee Induction Portal -უზრუნველყოფს ბიზნესის სფეროში ნებისმიერ კორპორაციულ სწავლებას, გათვლილია მრავალფეროვანი აუდიტორიისთვის, აქვს სოციალური მედიის ქსელის საშუალებების, თამაშების, აქტივობების და ვიქტორინების მხარდაჭერა; Jury's Inn სასწავლო პორტალი - წარმოადგენს ყველაზე ინოვაციურ ტექნოლოგიას, როგორც დისტანციური, ასევე შერეული სწავლისთვის. კურსები აგებულია ადაპტირებული ინსტრუმენტებით, რესურსებზე წვდომა შესაძლებელია სხვადასხვა მობილური მოწყობილობით; Vaillant სასწავლო პორტალი - უზრუნველყოფს ელექტრონულ სწავლებას ტრენინგების, სემინარების, პრაქტიკული უნარების შექმნისა და ონლაინ შესრულების მხარდაჭერით. აღნიშნული პორტალების გამოყენება გათვალისწინებული უნდა იქნას კარიერის მართვის პროცესის დაგეგმვისას (PARESASHVILI, NINO; GIORGOBIANI, MAIA; NIKVASHVILI, MAIA; PIRTSKHALAISHVILI, DEA; KHARADZE, NATALIA, 2019) (Kharadze, Natalia; Paichadze, Nugzar; Paresashvili, Nino; Pirtskhalaishvili, Dea; 2019) უნდა აღინიშნოს, რომ გარდა სასწავლო პორტალისა, დისტანციური სწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მოქნილი და ეფექტური ციფრული საკომუნიკაციო საშუალებების შერჩევას (Zoom, Microsoft Teams, Whatsapp, Viber, Skype, Messenger, e-mail). პანდემიის პერიოდში ელექტრონული ფოსტის უპირატესობა ზოგიერთ ციფრულ საკომუნიკაციო საშუალებასთან შედარებით დაეცა (TIKISHVILI, 2021), სოციალურ ქსელ - Facebook-ს დაემატა საკომუნიკაციო საშუალება „Messenger Rooms“, რომელიც ერთდროულად 50 -მდე პერსონის ჩართვის საშუალებას იძლევა, ამასთან არ საჭიროებს Facebook ანგარიშს. Messenger Rooms კონკურენციას უწევს ისეთ სერიოზულ სერვისებს, როგორცაა მაგალითად Zoom.

პანდემიის პერიოდში სწავლების ახალ რელსებზე გადასვლისას საზოგადოებაში გაჩნდა კითხვა იმის თაობაზე იქნებოდა თუ არა უმჯობესი სწავლის გაგრძელება ონ-ლაინ რეჟიმში. ასევე, მიიღებდნენ თუ არა ამ შემთხვევაში ახალგაზრდები სრულფასოვან განათლებას, და ბოლოს, ამ ეპოქამ წარმოშვა კითხვა: ონ-ლაინ რეჟიმი და ინფორმაციული ტექნოლოგიები სრულად ჩაანაცვლებდა თუ არა მასწავლებელს. რა გავლენას იქონიებდა დროის გამოყენებაზე სასწავლო დანესებულებებში (KHARADZE & DUGLADZE, 2018) (Pirtskhalaishvili & Dugladze, 2018).

საინტერესო იყო ამ საკითხებზე სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მოსაზრებების შედარებითი ანალიზი. აღნიშნული საკითხების კვლევისთვის შევიმუშავეთ კითხვარი, რომლის შევსებაშიც მონაწილეობა მიიღო სამივე საფეხურის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, კერძოდ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ტექნიკური უნივერსიტეტიდან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ასევე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

სტატიაში გამოიკვეთა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა შედარებითი ანალიზი ისეთი საკითხების მიმართ, როგორცაა: სწავლის კონკრეტული რეჟიმის უპირატესობა, თანამედროვე ციფრული კომუნიკაციის სერვისების არჩევანი, ონლაინ სწავლების ყველაზე დადებითი და ყველაზე უარყოფითი მხარე, განსხვავება ონლაინ სწავლის / სწავლების პროცესთან დაკავშირებულ მიდგომებს შორის რეგიონულ ქრთაში.

წარსულში -2000, 2002, 2003 წლებში ჩატარებული სხვადასხვა კვლევის შედეგად გამო-


ვლინდა, რომ Web ინტერნეტით დისტანციური სწავლებისას სტუდენტები უფრო მეტად გამოხატავდნენ კმაყოფილებას, ვიდრე პირისპირ სწავლებისას (RAJESH, 2015), 2006 წლის გამოკითხვით კი მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნებოდა სტუდენტის მიღწევებში, როცა სწავლის ტრადიციულ რეჟიმს დისტანციური რეჟიმი ცვლიდა (Veletsianos, 2010). მაგრამ რა ხდება დღეს, როცა რეალურად სხვა არჩევანი არ გვაქვს?

ონლაინ სწავლება ხელს უწყობს დროის უფრო პროდუქტიულ გამოყენებას, (Kharadze, Natalia; Dugladze, Davit; Pirtskhalaishvili, Dea, 2018) გვიცავს პანდემიისგან, გვაქვს მეტი წვდომის საშუალება საერთაშორისო მასშტაბით, ამცირებს ტრანსპორტირებაზე გაწეულ ფულად ხარჯებსა და დროს, ამასთან შესაძლებელია შეხვედრების ციფრული ჩანაწერების ატვირთვა ვებგვერდზე, და მისი მოგვიანებით ნახვა, დისტანციურ რეჟიმში მუშაობისას გასათვალისწინებელია მისი უარყოფითი მხარეებიც, ვირტუალურ პლატფორმაზე მეტი დროის გატარებამ შეიძლება გამოიწვიოს სტრესი და გადაღლა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სწავლის პროცესში ხელის შეშლას ოჯახის წევრების მხრიდან, ტექნიკურ ხარვეზს და სხვა. სოციალური იზოლაცია ამცირებს პირისპირ კომუნიკაციის საშუალებას, რაც უარყოფითად აისახება ინდივიდებზე.

კითხვაზე თუ სწავლის რომელ რეჟიმს ანიჭებენ უპირატესობას სამივე საფეხურის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, შემდეგი შედეგი მოგვცა: სტუდენტთა უმრავლესობა-51% უპირატესობას ანიჭებს პირდაპირ კომუნიკაციას, პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობა (38%) კი - ნაწილობრივ დისტანციურს. ამასთან, პროფესორების შემთხვევაში ონლაინ რეჟიმსა და პირდაპირი კომუნიკაციის არჩევანს შორის არც თუ ისე დიდი სხვაობაა, 32% -ს ურჩევია პირდაპირი კომუნიკაცია, 30%-ს კი დისტანციური, მაშინ როცა სტუდენტთა მხოლოდ 7% ანიჭებს უპირატესობას დისტანციურ სწავლებას.

როგორც ვხედავთ, კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება წარსულში გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემებისგან (RAJESH, 2015), რაც მეტყველებს იმაზე, რომ სავალდებულო სოციალური იზოლაცია აშკარა ზემოქმედებას ახდენს სწავლის რეჟიმის არჩევანზე. საინტერესოა მონაცემთა დიფერენციაცია სტუდენტების სამივე საფეხურის მიხედვით, რათა გავიგოთ ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პროფესორთა ცალკეული შეხედულებები ამ საკითხის მიმართ. შედეგების მისაღებად გამოვიყენეთ კროსტაბულაციური ანალიზი:

დიაგრამა 1. სასურველი სწავლის რეჟიმი




როგორც დიაგრამიდან (იხ. დიაგრამა 1) ჩანს, ბაკალავრთა 65% ამჯობინებს პირდაპირ კომუნიკაციას, მაგისტრების, დოქტორანტების და პროფესორთა უპირატეს არჩევანს კი შერეული სისტემით (ნაწილობრივ დისტანციური) სწავლა წარმოადგენს. ბაკალავრების მაღალი ინტერესი შესაძლოა გამოწვეული იყოს უნივერსიტეტში სწავლების პროცესში ჩართულობის ნაკლები გამოცდილებით. ბაკალავრების 32% უპირატესობას ანიჭებს შე-

რეული სისტემით სწავლებას, და მხოლოდ 4% -ია მომხრე დისტანციური რეჟიმის. მაგისტრანტების შემთხვევაში 5% უპირატესობას ანიჭებს ონლაინ რეჟიმს.


კითხვაზე თუ ციფრული საკომუნიკაციო საშუალებებიდან დისტანციური სწავლისას ყველაზე ხშირად რომელს იყენებენ, - სტუდენტთა და პროფესორთა პასუხების შედარებამ მოგვცა შემდეგი სურათი (იხ. დიაგრამა 2):

დიაგრამა 2. ყველაზე ხშირად გამოყენებადი ციფრული საკომუნიკაციო საშუალება



როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობა დისტანციური სწავლისას უმეტესად იყენებს Microsoft Teams / Zoom-ს. სტუდენტები Microsoft Teams / Zoom-ის შემდეგ უმეტესად messenger-ით სარგებლობენ, პროფესორები კი Whatsapp / Viber / Skype-ით, ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ სტუდენტები იშვიათად და ნაკლებად გამოიყენებენ Whatsapp / Viber / Skype-ს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები, პროფესორებისგან განსხვავებით ტელეფონს უფრო ხშირად იყენებენ ვიდრე ელექტრონულ ფოსტას.

კვლევის პროცესში დავინტერესდით, თუ რა დამოკიდებულება აქვთ სტუდენტებსა და პროფესორ მასწავლებლებს დისტანციური სწავლა/სწავლებისადმი. მონაცემთა ანალიზის შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი (იხ. დიაგრამა 3).




დიაგრამა 3. დამოკიდებულება დისტანციური სწავლისადმი

დიაგრამა 3-დან ჩანს, რომ სტუდენტები აშკარად უარყოფითად არიან განწყობილნი დისტანციური სწავლის მიმართ. სტუდენტთა უმრავლესობა (42%) ამჯობინებს სწავლას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 20% კი მიიჩნევს, რომ დისტანციური სწავლა უარყოფითად მოქმედებს სწავლის შედეგებზე, რესპონდენტთა 24%-სთვის დისტანციური სწავლება არის კომფორტული.

აშკარა განსხვავება აღინიშნება პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის დისტანციური სწავლისადმი დამოკიდებულების მიმართ. თუ სტუდენტთა უმრავლესობა (42%) ამჟობინებს სწავლას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესორ-მასწავლებელთა 60% დისტანციურ სწავლას მიიჩნევს დადებითად და თვლიან, რომ დისტანციური სწავლა ეფექტური და კომფორტულია. მათი მხოლოდ 11% აძლევს უპირატესობას საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას. დისტანციური სწავლების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას აფიქსირებს სტუდენტთა 20% და პროფესორ-მასწავლებლებთა - 17%.

კვლევის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ფაქტორები, რომლებსაც დიდ უპირატესობას ანიჭებენ სტუდენტები და პროფესორები დისტანციური სწავლის დროს (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. დისტანციური სწავლის ყველაზე დიდი უპირატესობა



პროფესორთა (53%) და სტუდენტთა (33%) უმრავლესობა დისტანციური რეჟიმის ყველაზე დიდ უპირატესობად მიიჩნევს სწავლის პროცესში ნებისმიერი ადგილიდან ჩართვის შესაძლებლობას. სტუდენტთა 32% და პროფესორთა 17% კი მიიჩნევს, რომ დისტანციურ სწავლას არ გააჩნია უპირატესობა.

სტუდენტთა 19% და პროფესორთა 8% დისტანციური სწავლის დადებით მხარედ კომფორტულ გარემოს მიიჩნევს, როგორც მონაცემებიდან ჩანს კომფორტული გარემო სტუდენტებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პროფესორთა თაობას სხვა მძიმე პერიოდებიც აქვს გავლილი (90-იანი წლები) და მეტწილად ორიენტირებული არიან სწავლის შედეგებზე. პროფესორებს დისტანციური სწავლების უპირატესობად, კომფორტულ გარემოზე მეტად მიაჩნიათ სატრანსპორტო ხარჯების და დროის დანახარჯების შემცირება. აღნიშნული დამოკიდებულება შესაძლოა უკავშირდებოდეს ოჯახის რჩენის ტვირთს, რომელიც პროფესორებს მეტად აქვთ სტუდენტებთან შედარებით.

კითხვაზე თუ რა მიაჩნიათ დისტანციური სწავლებისას ყველაზე უარყოფით ფაქტორად, რესპონდენტების დამოკიდებულება შემდეგნაირად გადანაწილდა: სტუდენტების 33% და პროფესორთა 38% - მიიჩნევს, რომ ჯგუფის წევრებთან ურთიერთობის შემცირება წარმოადგენს დისტანციური სწავლების ყველაზე მნიშვნელოვან ნაკლოვანებას.

სტუდენტების (25%) და პროფესორების (30%) დისტანციური მუშაობის მეორე მთავარ ნაკლოვანებად ასახელებენ სხვადასხვა ხელისშემშლელ ფაქტორებს: ოჯახის წევრების ხმაური თუ ტექნიკურ ხარვეზი. ბუნებრივია, სახლიდან ლექციაზე დასწრება თუ ლექციის ჩატარება მოითხოვს გარკვეული შეზღუდვების დაწესებას ოჯახის წევრებისადმი, ასვე ხშირად აქვს ადგილი ტექნიკურ ხარვეზსაც, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ინტერნეტ პაკეტებით, ბუნებრივია სოციალური პირობები ყველას არ აძლევს საშუალებას შეიძინონ სწრაფი ინტერნეტ პაკეტები და ა. შ.

საინტერესოა ახდენს თუ არა გავლენას ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და რესპონდენტის სტატუსი სწავლის რეჟიმის და დისტანციური სწავლისას ციფრული საკომუ-

ნიკაციო საშუალების არჩევანზე. ბუნებრივია, ეკონომიკურად არასტაბილურ გარემოში, განსაკუთრებით კი რეგიონებში (მაღალმთიან რეგიონებში) მცხოვრებ რესპონდენტებს შესაძლოა არ ჰქონდეთ კომპიუტერთან და ინტერნეტთან წვდომა, რაც შეიძლება გახდეს სწავლის რეჟიმისა და საკომუნიკაციო საშუალების არჩევის წინაპირობა. აღნიშნული საკითხის კვლევისათვის გამოვიყენეთ მრავალფაქტორული დისპერსიული ანალიზი MANOVA. დისპერსიული ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები გვიჩვენებს ლევენის ტესტს ვარიაციის ერთგვაროვნებაზე, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ ორივე ფაქტორი - ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი და რესპონდენტის სტატუსი (სტუდენტი/პროფესორ-მასწავლებელი) გავლენას ახდენს სწავლის რეჟიმის არჩევანსა და საკომუნიკაციო საშუალების არჩევანზე. აღნიშნულ ცვლადებს შორის აღინიშნება მაქსიმალური სტატისტიკური კავშირი 0.001 დონეზე (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1. ლევენის ტესტი ვარიაციის ერთგვაროვნებაზე

	F	df1	df2	Sig.
სწავლის რომელ რეჟიმს ანიჭებთ უპირატესობას?	7.237	11	505	.000
ყველაზე ხშირად რომელ საკომუნიკაციო საშუალებას იყენებთ დისტანციური სწავლისას?	11.768	11	505	.000

ცალ-ცალკე ფაქტორების ზემოქმედებისას კი ცხრილი 2-დან ჩანს, რომ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გავლენას ახდენს მხოლოდ სწავლის რეჟიმის არჩევანზე სტატისტიკური მნიშვნელოვნების 0.05 დონით, და არ ახდენს გავლენას საკომუნიკაციო საშუალების არჩევანზე.

ცხრილი 2. სტატისტიკური ტესტის შედეგი ვარიაციის ერთგვაროვნებაზე

დამოკიდებული ცვლადი		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
სწავლის რომელ რეჟიმს ანიჭებთ უპირატესობას?	საცხოვრებელი ადგილი	6.436	5	1.287	3.062	.010
	ცდომილება	212.281	505	.420		
ყველაზე ხშირად რომელ საკომუნიკაციო საშუალებას იყენებთ დისტანციური სწავლისას?	საცხოვრებელი ადგილი	16.529	5	3.306	1.671	.140
	ცდომილება	998.819	505	1.978		

რესპონდენტის სტატუსი (სტუდენტი/პროფესორი) გავლენას ახდენს მხოლოდ სწავლის რეჟიმის არჩევანზე. აღნიშნულ ფაქტორებს შორის აღინიშნება მაქსიმალური სტატისტიკური კავშირი 0.001 დონით, თუმცა არ ახდენს გავლენას საკომუნიკაციო საშუალების არჩევანზე (ცხრილი 3).

კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სწავლის რეჟიმის არჩევანის მხრივ. რაც შეეხება საკომუნიკაციო საშუალების არჩევანს დისტანციური სწავლისას, ამ მხრივ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის განსხვავება არ შეინიშნება.

ცხრილი 3. სტატისტიკური ტესტის შედეგი ვარიაციის ერთგვაროვნებაზე

დამოკიდებული ცვლადი		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
სწავლის რომელ რეჟიმს ანიჭებთ უპირატესობას?	სტატუსი	9.683	1	9.683	23.035	.000
	ცდომილება	212.281	505	.420		
ყველაზე ხშირად რომელ საკომუნიკაციო საშუალებას იყენებთ დისტანციური სწავლისას?	სტატუსი	2.674	1	2.674	1.352	.245
	ცდომილება	998.819	505	1.978		

როგორც დისპერსიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რეგიონი - საცხოვრებელი ადგილი გავლენას ახდენს სასწავლო რეჟიმის არჩევანზე.

რეკომენდაციები:

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია:

- დისტანციური სწავლისას ტექნოლოგიები ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ მათ ხელი შეუწყონ სტუდენტის მიერ ინფორმაციის აღქმას;

- საგანმანათლებლო და დისტანციურ რეჟიმში ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ სასწავლო პლატფორმებზე, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული სტუდენტების ჩართულობა, დიალოგი და ინტერაქციულობა. სწავლებაში სტუდენტის ინგეჟაქციური პრაქტიკის გამოყენება აუმჯობესებს სწავლებას;

- როგორც კვლევამ ცხადყო, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი გავლენას ახდენს სწავლის რეჟიმის არჩევანზე, ამიტომ გასათვალისწინებელია, რომ შეიქმნას თანაბარი პირობები ინტერნეტის გამოყენების მხრივ, მთავრობამ / საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა განახორციელონ უფასო ინტერნეტით უზრუნველყოფის პოლიტიკა, მათე-რიალურად გაჭირვებული ან სოციალურად დაუცველი სტუდენტების მიმართ;

- ბაკალავრებთან სწავლისას გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას, ეს კი პროფესორ-მასწავლებლებს უჩენს ახალ გამოწვევებს, უბიძგებს მათ იმუშაონ საკუთარ თავზე და დახვეწონ ინფორმაციის გადაცემის საშუალებები, რათა მოხდეს მაღალკვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს კარიერულ წინსვლას (Pirtskhalaishvili, D., Paresashvili, N., & Kulinich, T., 2021);

- მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებმა უზრუნველყონ ტრენინგ სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პროფესორ მასწავლებლებს სწავლების თანამედროვე მეთოდებით მოახდინონ შეუფერხებელი სწავლების პროცესის უზრუნველყოფა. ამასთან მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტებმა უზრუნველყონ ლექციების ჩაწერა და ერთიან პლატფორმაზე ატვირთვა, რათა სტუდენტმა შეძლოს მისთვის ხელსაყრელ დროს მუშაობა და მასალის გაცნობა;

- სასწავლო კურსის შესწავლის დაწყებამდე სასწავლო დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების თუ პედაგოგებისთვის სასწავლო პლატფორმების გაცნობა და მასზე მუშაობა.

ლიტერატურა:

1. KHARADZE, N., & DUGLADZE, D. (2018). TIME MANAGEMENT OF PRIVATE UNIVERSITY STUDENTS. *INNOVATIVE ECONOMICS AND MANAGEMENT*, 126-137.
2. Kharadze, Natalia; Dugladze, Davit; Pirtskhalaishvili, Dea;. (2018). Comparative Analysis of Students Time Management at State and Private Universities. *Innovative Economics and Management*, 151-162.
3. Kharadze, Natalia; Paichadze, Nugzar; Paresashvili, Nino; Pirtskhalaishvili, Dea;. (2019). General Trends of Business Career Management. *17th International Conference on Social Sciences* (pp. 253-254). Murcia: European Center For Science Education and Research.
4. PARESASHVILI, NINO; GIORGOBIANI, MAIA; NIKVASHVILI, MAIA; PIRTSKHALAISHVILI, DEA; KHARADZE, NATALIA. (2019). Career Management Peculiarities in Educational Institutions. *17th International Conference on Social Sciences* (pp. 212-231). Murcia: EUROPEAN CENTER FOR SCIENCE EDUCATION AND RESEARCH.
5. Penford, S. (2021). *5 excellent learning portal examples for training employees*. Retrieved from elearninglearning.com: <https://www.elearninglearning.com/portal/>

6. Pirtskhalaishvili, D., & Dugladze, D. (2018). Statistical Analysis of Students' Time Management and Private Hypotheses in Private Universities. *Innovative Economics and Management*, 124-130.
7. Pirtskhalaishvili, D., Paresashvili, N., & Kulinich, T. (2021). The gender aspects of career development and leadership in organizations. *Journal of Eastern European and Central Asian Research (JEECAR)*, 8(2), 255 - 266.
8. RAJESH, M. (2015). Revolution in Communication Technologies: Impact on Distance Education. *INDIA/Turkish Online Journal of Distance Education-TOJDE*, Volume: 16 Number: 1 Article 5.
9. TIKISHVILI, M. (2021). General analysis using of digital communication tools by students in distance learning, caused of coronavirus. *Innovate Economic Management.*, 82-91.
10. Veletsianos, G. (2010). *Emerging Technologies in Distance Education*. Canada: Athabasca University.
11. Anderson, A. (2010). Learning to Learn in E-Learning- Constructive practices for Development
12. Arkelin D. (2014), Using SPSS to Understand Research and Data Analysis. Valparaiso University
13. Gaudelli, W. (2006). Convergence of Technology and Diversity: Experiences of Two Beginning Teachers in Web-Based Distance Learning for Global/Multicultural Education. Retrieved from <http://files.eric.ed.gov/fulltext/EJ795200.pdf>
14. Heroux M. (2019), Research Software Science: A Scientific Approach to Understanding and Improving How We Develop and Use Software for Research
15. IQ, W. (2013). Wiziq Education. online. Retrieved from wiziq: <http://www1.wiziq.com/virtualclassroom/?gclid=CMS18f7ss7oCFTF04godBUgAng>
16. Ngogi E (2021), The Impact of COVID-19 Pandemic on Education: Navigating Forward the Pedagogy of Blended Learning

Pandemic and Distance Learning - A Comparative Analysis of the Views of Professors and Students

Maia Giorgobiani

*Doctor of Economics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business, Associate Professor*

Mzia Tikishvili

*Doctor of Economics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business, Visiting Professor*

Dea Pirtskhalaishvili

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business, Assistant Professor*

SUMMARY

Covid-19 has created new challenges globally. A number of restrictions have forced students and professors to switch remotely and adjust to new rules. Surveys that were conducted by research centers showed a rather positive attitude towards distance learning. However, forced social distance, had a major impact on respondents' responses during the Covid Pandemic.

The purpose of this paper is to make a comparative analysis of views of professors and students about remote learning during the pandemic period.

Students and professors, of Georgian universities from different regions, participated in the study. Data obtained from the study were processed using the Statistical Package for the Social Sciences (SPSS). Based on the research, the following issues were highlighted:

- Comparative analysis of students' and professors' attitude towards distance learning;
- Identifying advantages and disadvantages of distance learning from the point of view of students and professors;
- Determining the preferred mode of study (distance, direct, mixed) by students and professors. (Comparative analysis in the regional context);
- Identification of the most frequently used digital communication services by students and professors;

After analyzing above-mentioned issues, the article provides conclusions and recommendations that will help us to address the challenges we have identified.

Keywords: Covid-19, Information Technology, Statistical Analysis, Distance Learning, Management